მარიამ ბოხუა
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელფოსტა: mari.bokhua@yahoo.com

აშშ-ის როლი სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით ჩინეთ-იაპონიას შორის არსებულ დაპირისპირებაში

აბსტრაქტი

სტატიაში გაანალიზებულია ამერიკის შეერთებული შტატების როლი ჩინეთსა და იაპონიას შორის სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების გარშემო არსებულ დავაში. კვლევის მიზანია დადგინდეს, რა განაპირობებს აშშ-ის მიერ იაპონიის მხარდაჭერას აღნიშნულ კონფლიქტში. ანალიზი ეფუძნება სტრუქტურული რეალიზმის თეორიას და ეყრდნობა ისტორიული მოვლენების, მხარეთა სამართლებრივი და პოლიტიკური არგუმენტების, ასევე აშშ-ის ოფიციალური დოკუმენტებისა და საჯარო განცხადებების შესწავლას.

კვლევა აჩვენებს, რომ აშშ-ის მხარდაჭერა იაპონიის მიმართ განპირობებულია, პირველ რიგში, აღმოსავლეთ აზიაში ძალთა ბალანსის შენარჩუნებისა და რეგიონში საკუთარი სტრატეგიული პოზიციების განმტკიცების ინტერესით. ამასთან, კუნძულების გეოსტრატეგიული მდებარეობა და ბუნებრივი რესურსებით სიმდიდრე დამატებით გავლენას ახდენს მხარეთა პოლიტიკაზე და რეგიონული უსაფრთხოების გარემოზე.

კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ სტრუქტურული რეალიზმის თეორია ეფექტიანად ხსნის აშშ-ის პოლიტიკას სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების გარშემო არსებულ დავაში და წარმოაჩენს, რომ რეგიონში ძალთა ბალანსის შენარჩუნება ამერიკის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების გარშემო დავა, აშშ-ის საგარეო პოლიტიკა, ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობები, სტრუქტურული რეალიზმი, ძალთა ბალანსი აღმოსავლეთ აზიის რეგიონში

შესავალი

ჩინეთ-იაპონიას შორის დაპირისპირების ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების გარშემო არსებული დავა, რომელშიც აშშ-ის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ჩინეთი,

იაპონია და აშშ აღმოსავლეთ აზიის რეგიონში მთავარ მოთამაშეებს წარმოადგენენ, ხოლო ჩინეთის მზარდი ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური გავლენა აშშ-ისთვის რეგიონული და გლობალური მასშტაბით მნიშვნელოვან გამოწვევად განიხილება. შესაბამისად, აღმოსავლეთ აზიაში ძალთა ბალანსის შენარჩუნება, ჩინეთის მზარდი გავლენის შეკავება და რეგიონში საკუთარი სტრატეგიული ინტერესების დაცვა აშშ-ის ჩართულობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს. სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების გარშემო არსებული დავასთან მიმართებით აშშ-ის პოლიტიკა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობებზე, ისე რეგიონული უსაფრთხოების დინამიკაზე.

ჩინეთი მსოფლიო ასპარეზზე ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენს, რომელსაც აქვს საერთაშორისო არენაზე გაძლიერებისა და მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს ძალად ჩამოყალიბების ინტერესი. ის ცდილობს მიჰყვეს ,,ახალი უსაფრთხოების კონცეფციას“, რომლის მიხედვითაც მნიშვნელოვანია ,,საერთო თანამშრომლობა, საერთო სარგებელი, თანასწორობა და კოორდინაცია“. თუმცა ჩინეთის ეს მიდგომა გამოწვეულია რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევით: აშშ-ის ჰეგემონიით, ტრადიციული ძალთა ბალანსის შენარჩუნების აუცილებლობით და მრავალმხრივი, გაურკვეველი უსაფრთხოების ფორუმების არსებობით. ამ გამოწვევებიდან პირველი ორი პირდაპირ ეხება ჩინეთის უსაფრთხოების ინტერესებს და აჩვენებს, რომ ძალაუფლების ზრდა დიდ სახელმწიფოებს შორის კონკურენციაში გადარჩენის და წარმატების მთავარი გარანტიაა (Li, 2009).

კვლევის მიზანია განისაზღვროს, რატომ არის ჩართული აშშ ამ კონფლიქტში და რა განსაზღვრავს მის ინტერესსა და მზადყოფნას კონფლიქტში ჩართვისთვის. საკვლევი კითხვა ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით: რა განაპირობებს აშშ-ის მიერ იაპონიის მხარდაჭერას ჩინეთ-იაპონიას შორის სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების გარშემო არსებულ დაპირისპირებაში? ჰიპოთეზა კი მდგომარეობს იმაში, რომ აშშ-ის მიერ იაპონიის მხარდაჭერა სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების გარშემო არსებულ დაპირისპირებაში აძლევს აშშ-ს საშუალებას დარჩეს ერთ-ერთ წამყვან ძალად რეგიონში.

წარმოდგენილი ჰიპოთეზის მიხედვით, სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებს მნიშვნელოვანი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება. ეს განპირობებულია აშშ-ის რეგიონული ინტერესებით: კუნძულების იაპონიის ადმინისტრაციული მმართველობის ქვეშ ყოფნა ხელს უწყობს აშშ-ის რეგიონში წამყვანი პოზიციის შენარჩუნებას და ზღუდავს ჩინეთის რეგიონული გავლენის გაძლიერებას. ამ კონტექსტში აშშ-ისთვის იაპონიასთან თანამშრომლობა მხოლოდ ორმხრივი ურთიერთობების შენარჩუნებას არ ემსახურება, არამედ წარმოადგენს ჩინეთის დასაბალანსებლად რეგიონში მთავარი მოკავშირის შენარჩუნებისთვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

ლიტერატურის მიმოხილვა

ლიტერატურის მიმოხილვა მიზნად ისახავს სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების გარშემო ჩინეთ-იაპონიის კონფლიქტის შესახებ არსებული აკადემიური კვლევების გაანალიზებას. აღნიშნული საკითხი ფართოდ არის განხილული საერთაშორისო ურთიერთობების ლიტერატურაში, სადაც ავტორები სხვადასხვა თეორიული და

ანალიტიკური მიდგომით იკვლევენ კონფლიქტის ისტორიულ საფუძვლებს, რეგიონული უსაფრთხოების დინამიკას და დიდი ძალების, განსაკუთრებით კი აშშ-ის როლს. ქვემოთ წარმოდგენილი ნაშრომები ასახავს როგორც ისტორიულ და პოლიტიკურ კონტექსტს, ისე საერთაშორისო ურთიერთობების თეორიულ ინტერპრეტაციებს, რაც ხელს უწყობს კონფლიქტის მრავალმხრივ გააზრებას.

ანა კოსტას ნაშრომი ,,ჩინეთ-იაპონიის კონფლიქტი სენკაკუს/დიაოიუს კუნძულების გარშემო" წარმოადგენს საფუძვლიან ანალიზს კონფლიქტის მთავარი ასპექტებისა. ავტორი მიმოიხილავს მხარეთა არგუმენტებს, კონფლიქტის წარმოშობასა და რეგიონში არსებული დაძაბულობის წყაროებს. ნაშრომში განხილულია როგორც ჩინეთის, ისე იაპონიისა და აშშ-ის პოზიციები, აგრეთვე 1970 წლიდან მათ მიერ წარმოებული საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა (Kosta, 2018). კოსტას ანალიზი მკაფიო წარმოდგენას ქმნის მხარეთა დამოკიდებულებების შესახებ და წარმოადგენს საკვანძო წყაროს კონფლიქტის დინამიკის შესასწავლად.

რეინარდ დრიფტე სტატიაში ,,იაპონია-ჩინეთის კონფრონტაცია სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების გარშემო - საკითხის გადადებასა და ესკალაციას შორის" ყურადღებას ამახვილებს კონფლიქტის ესკალაციის შესაძლებლობებზე 21-ე საუკუნეში. სტატია გვაწვდის მოკლე ისტორიულ რეზიუმეს და აღწერს ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობების თავისებურებებს, რაც ხაზს უსვამს დაძაბულობის მუდმივობასა და სარისკო ბუნებას რეგიონში (Drifte, 2014).

ლინ იშის ნაშრომი „აშშ-ის როლი სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებულ ტერიტორიულ დავაში" იკვლევს აშშ-ის პოზიციას ჩინეთ-იაპონიის კონფლიქტში. ავტორი აღნიშნავს, რომ აშშ-მა უნდა აღიაროს იაპონიის სუვერენიტეტი კუნძულებზე და ხელი შეუშალოს ჩინეთის მხრიდან ძალის გამოყენებას. თუმცა იში ხაზს უსვამს ასევე დილემას: აშშ-ის მიერ იაპონიის მხარდაჭერამ შეიძლება გამოიწვიოს დაპირისპირება ჩინეთთან, რაც ეკონომიკურ და სტრატეგიულ რისკებს წარმოშობს (Ishii, 2013). მიუხედავად იმისა, რომ იშის ნაშრომი ნაწილობრივ სუბიექტურ მოსაზრებებს შეიცავს, იგი მნიშვნელოვან ყურადღებას ამახვილებს აშშ-ის სტრატეგიულ ინტერესებზე, უსაფრთხოების ხელშეკრულების ფარგლებში იაპონიის მხარდაჭერის შედეგებზე და შესაძლო გლობალურ გავლენებზე.

შეილა სმიტის სტატიაში „იაპონია და აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვის დაპირისპირება" განხილულია 2010 წლის ინციდენტი სენკაკუს კუნძულების მიმდებარე წყლებში, სადაც იაპონიასა და ჩინეთს შორის კონფრონტაცია მოხდა. სმიტი ხაზს უსვამს, რომ ჩინეთის პროვოკაციულმა ქმედებებმა წარმოაჩინა, თუ როგორ შეუძლია მცირე ინციდენტს გადაიზარდოს სერიოზულ დიპლომატიურ დაპირისპირებაში. ავტორი ასევე აღნიშნავს აშშ-ის როლს, მათ შორის სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის განცხადებას, რომ სენკაკუს კუნძულები ექვემდებარება აშშ-იაპონიის უსაფრთხოების ხელშეკრულების მოქმედებას (Smith, 2012). სტატიიდან იკვეთება, რომ მსგავსი ინციდენტები არა მხოლოდ ადგილობრივ დაძაბულობას ზრდიან, არამედ რეგიონული უსაფრთხოებისთვის სერიოზულ გამოწვევებს წარმოშობენ.

ჩუ შულონგი თავის სტატიაში „აშშ-ჩინეთ-იაპონიის ტრილატერალური ურთიერთობების სტაბილიზაციის მექანიზმი აზიაში" იკვლევს რეგიონში აშშ-ის, ჩინეთისა და იაპონიის ურთიერთქმედებას. ავტორი ხაზს უსვამს, რომ რეგიონული სტაბილურობა დამოკიდებულია ამ სამის ურთიერთობებზე, თუმცა

ტრილატერალური სტაბილიზაციის მექანიზმის არსებობა ნაკლებად მოსალოდნელია. ჩინეთსა და იაპონიას შორის დაპირისპირების ხანგრძლივი ისტორია და აშშ-ის სტრატეგიული ინტერესები რთულს ხდის მათ შორის მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბებას (Shulong, 2008).

კაზუხიკო ტოგო (Kazuhiko Togo) თავის სტატიაში ,,იაპონია-ჩინეთ-აშშ-ის ურთიერთობები და სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების დაპირისპირება: საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის პერსპექტივიდან" აანალიზებს აღნიშნულ საკითხს საერთაშორისო ურთიერთობების სამი თეორიული მიდგომის - რეალიზმის, ლიბერალიზმისა და კონსტრუქტივიზმის გამოყენებით. ავტორი ამტკიცებს, რომ კონფლიქტის სრულად გაგება მხოლოდ ერთი თეორიის საფუძველზე შეუძლებელია. რეალიზმის პერსპექტივიდან დავა აიხსნება ძალაუფლებისა და უსაფრთხოების ლოგიკით: იაპონია ცდილობს შეინარჩუნოს არსებული სტატუს-ქვო და ადმინისტრაციული კონტროლი კუნძულებზე, ხოლო ჩინეთი ცდილობს გაზარდოს რეგიონული გავლენა. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი აქვს აშშ-ს, რომელიც იაპონიასთან უსაფრთხოების ალიანსის მეშვეობით უზრუნველყოფს შეკავების პოლიტიკას. ლიბერალური მიდგომა ყურადღებას ამახვილებს იაპონიასა და ჩინეთს შორის ძლიერ ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებაზე, რაც ამცირებს სამხედრო ესკალაციის ალბათობას და ხელს უწყობს კონფლიქტის დიპლომატიურ მართვას. კონსტრუქტივისტული პერსპექტივა კი ხაზს უსვამს ისტორიული მეხსიერების, ეროვნული იდენტობისა და პოლიტიკური ნარატივების მნიშვნელობას, რომლებიც გავლენას ახდენს სახელმწიფოების პოზიციებზე და ამძაფრებს ტერიტორიულ დავას. ავტორის თქმით, ამ სამი თეორიის ერთობლივი გამოყენება იძლევა უფრო სრულ სურათს აღმოსავლეთ აზიის რეგიონული უსაფრთხოების დინამიკის შესახებ (Togo, 2014).

ქრისტიან სენკელი თავის სტატიაში „ ჩინეთი და იაპონია: პარტნიორები, კონკურენტები და მათი კონფლიქტი სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით" იყენებს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებს, რათა გააანალიზოს ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობა. მისი თქმით, ლიბერალური მშვიდობის თეორია ხაზს უსვამს ეკონომიკურ დამოკიდებულებას და საერთაშორისო ინსტიტუტებს, რომლებიც ზრდიან კონფლიქტის მშვიდობიანად მართვის შესაძლებლობას (მიუხედავად ტერიტორიული დავისა), ხოლო რეალისტური ხედვა ყურადღებას ამახვილებს სამხედრო ძალის ბალანსსა და გეოპოლიტიკურ ინტერესებზე. სტატია აფასებს ჩინეთი-იაპონიის ურთიერთობას როგორც „პარტნიორებისა და კონკურენტების ურთიერთობას" და ამბობს, რომ სისტემური ეკონომიკური ფაქტორები და ეროვნული უსაფრთხოების ინტერესები ერთდროულად განსაზღვრავენ კონფლიქტსა და თანამშრომლობას (Senkel, 2022).

ზემოაღნიშნული ლიტერატურა გვთავაზობს კონფლიქტის მრავალმხრივ ანალიზს - ისტორიულ, თეორიულ და სტრატეგიულ ჭრილში. თუმცა კვლევებში შედარებით ნაკლებად არის განხილული აშშ-ის მხარდაჭერის სტრუქტურული რეალიზმის პერსპექტივიდან გაანალიზება და მისი კავშირი რეგიონში ძალთა ბალანსის შენარჩუნებასთან. სწორედ ამ მიმართულებით ცდილობს წინამდებარე კვლევა საკითხის დამატებით გაანალიზებას.

თეორიული ჩარჩო

წინამდებარე კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს სტრუქტურული რეალიზმი (ნეორეალიზმი), რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოების ქცევას საერთაშორისო სისტემის სტრუქტურითა და ძალთა განაწილებით ხსნის. ქენეთ უოლცის მიხედვით, სახელმწიფოები მოქმედებენ ანარქიულ საერთაშორისო გარემოში, სადაც არ არსებობს ცენტრალური ხელისუფლება, რომელიც მათ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. შესაბამისად, თითოეული სახელმწიფო იძულებულია, საკუთარი უსაფრთხოება და არსებობა დამოუკიდებლად უზრუნველყოს (Waltz, 1979).

სტრუქტურული რეალიზმის მიხედვით, სახელმწიფოების მთავარი მიზანია გადარჩენა, ხოლო ძალაუფლება ამ მიზნის მიღწევის საშუალებად განიხილება. განსხვავებით კლასიკური რეალიზმისგან, რომელიც სახელმწიფოთა ქცევას ადამიანის ბუნებით ხსნის, სტრუქტურული რეალიზმი (ნეორეალიზმი) ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო სისტემის სტრუქტურასა და ძალთა ბალანსზე, როგორც სახელმწიფოების ქცევის განმსაზღვრელ ფაქტორებზე (Banotes, n.d.).

კვლევისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჯონ მარშაიმერის შეტევითი რეალიზმი, რომლის თანახმად, ანარქიული საერთაშორისო სისტემა დიდ სახელმწიფოებს უბიძგებს საკუთარი ძალაუფლებისა და გავლენის მუდმივი გაფართოებისკენ, რადგან მხოლოდ შედარებითი უპირატესობა ქმნის გრძელვადიანი უსაფრთხოების გარანტიას (Mearsheimer, 2001). ამ პერსპექტივიდან დიდი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა განიხილება, როგორც ძალთა ბალანსის შენარჩუნებისა და კონკურენტი სახელმწიფოების გაძლიერების შეზღუდვის მცდელობა.

აღნიშნული თეორია შესაძლებლობას იძლევა აიხსნას აშშ-ის პოლიტიკა სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების გარშემო არსებული დავის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ თავად ტერიტორიულ დავაში აშშ არ იკავებს პოზიციას რომელიმე მხარის სუვერენიტეტის სასარგებლოდ, იგი რეგულარულად ადასტურებს, რომ იაპონიასთან უსაფრთხოების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ვრცელდება იაპონიის ადმინისტრაციული კონტროლის ქვეშ მყოფ სენკაკუს კუნძულებზე. ამგვარი პოზიცია მიუთითებს, რომ აშშ-ისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს არა საკუთრივ ტერიტორიული დავის გადაწყვეტა, არამედ რეგიონში არსებული ძალთა ბალანსისა და სტრატეგიული სტატუს კვოს შენარჩუნება.

სტრუქტურული რეალიზმის ჭრილში აღნიშნული პოლიტიკა შეიძლება შეფასდეს, როგორც ჩინეთის მზარდი სამხედრო და პოლიტიკური გავლენის დაბალანსების სტრატეგიის ნაწილი. აღმოსავლეთ აზია აშშ-ის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონია, სადაც იაპონია მისი მთავარი მოკავშირეა. შესაბამისად, შესაძლოა, იაპონიის უსაფრთხოების გარანტიების შენარჩუნება მხოლოდ ორმხრივი ალიანსის დაცვის საკითხი არ იყოს და იგი ემსახურებოდეს აშშ-ის უფრო ფართო სტრატეგიულ მიზანს- შეინარჩუნოს ძალთა მისთვის ხელსაყრელი ბალანსი ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონში.

ამ თეორიული ჩარჩოს გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აშშ-ის ოფიციალური დოკუმენტებისა და განცხადებების ანალიზისას. სტრუქტურული

რეალიზმი საშუალებას იძლევა შეფასდეს, რამდენად შეესაბამება აშშ-ის მიერ დეკლარირებული მიზნები (რეგიონული სტაბილურობის, შეკავებისა და ალიანსების გაძლიერების შესახებ) მის პრაქტიკულ პოლიტიკას სენკაკუს/დიაოიუ დაოს დავასთან მიმართებით. შესაბამისად, კვლევა აშშ-ის ოფიციალურ პოზიციებს განიხილავს არა მხოლოდ სამართლებრივი ან დიპლომატიური, არამედ საერთაშორისო სისტემის ძალთა კონკურენციის კონტექსტშიც.

ამრიგად, სტრუქტურული რეალიზმი ამ კვლევაში გამოყენებულია არა როგორც სახელმწიფოთა ქცევის ზოგადი თეორიული აღწერა, არამედ როგორც ანალიტიკური ჩარჩო, რომლის მეშვეობითაც შეფასდება, თუ როგორ აისახება ძალთა ბალანსის, შეკავებისა და ჰეგემონიის შენარჩუნების ლოგიკა აშშ-ის ოფიციალურ პოლიტიკასა და ქმედებებში სენკაკუს/დიაოიუ დაოს დავის კონტექსტში.

კვლევის მეთოდოლოგია

საკვლევი საკითხის ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიური მიდგომა, რომელიც მოიცავდა დოკუმენტების ანალიზსა და თვისებრივ კონტენტანალიზს (qualitative content analysis). კვლევის მიზნიდან გამომდინარე, გაანალიზდა მე-19 საუკუნის ბოლოდან დღემდე არსებული ისტორიული და პოლიტიკური მასალები, თუმცა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ პერიოდს, როდესაც ჩამოყალიბდა აშშ-იაპონიის უსაფრთხოების თანამედროვე ურთიერთობები და სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებული დავის თანამედროვე კონტექსტი.

კვლევის ემპირიულ ბაზას წარმოადგენდა აშშ-ის ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება აღნიშნულ საკითხს. დოკუმენტების შერჩევა განხორციელდა მიზნობრივი შერჩევის მეთოდით (purposive sampling), რაც გულისხმობს იმ წყაროების შერჩევას, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება კვლევის მიზნებსა და საკვლევ კითხვებს (Nikolopoulou, 2023). საბოლოო შერჩევით ჩამოყალიბდა 18 ერთეულისგან შემდგარი დოკუმენტური კორპუსი, რომელიც მოიცავდა:

- აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ განცხადებებსა და პოზიციებს (5 დოკუმენტი);
- აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტისა და კონგრესის ანგარიშებს (6 დოკუმენტი);
- აშშ- იაპონიის უსაფრთხოების ურთიერთობებთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს (7 დოკუმენტი);

დოკუმენტების ანალიზის ერთეულად განისაზღვრა თითოეულ წყაროში წარმოდგენილი ოფიციალური პოზიცია, შეფასება და პოლიტიკის მიმართულება სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებულ საკითხებზე. ანალიზის პროცესში გამოყენებულ იქნა წინასწარ განსაზღვრული კოდირების კატეგორიები, რომლებიც მოიცავდა:

- ✓ კუნძულების სამართლებრივი სტატუსის შეფასებას;
- ✓ აშშ-ის უსაფრთხოების ვალდებულებებს იაპონიის მიმართ;
- ✓ ჩინეთის მოქმედებების შეფასებას;

- ✓ რეგიონული სტაბილურობისა და აშშ-ის სტრატეგიული ინტერესების მნიშვნელობას.

აშშ-ის პოზიციის ცვლილების გამოვლენა განხორციელდა დოკუმენტებში არსებული ძირითადი თემებისა და ტერმინოლოგიის შედარებითი ანალიზის საფუძველზე. კერძოდ, შეფასდა, როგორ იცვლებოდა აშშ-ის დამოკიდებულება კუნძულების სამართლებრივ სტატუსთან, იაპონიის დაცვის ვალდებულებებთან, ჩინეთის რეგიონულ აქტივობებთან და აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში უსაფრთხოების საკითხებთან მიმართებით. აღნიშნული კრიტერიუმები საშუალებას იძლეოდა გამოვლენილიყო აშშ-ის პოლიტიკის როგორც უწყვეტი ელემენტები, ისე ცვლილებები სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში.

თვისებრივი კონტენტანალიზის გამოყენებამ შესაძლებელი გახადა არა მხოლოდ ფაქტობრივი მონაცემების გამოვლენა, არამედ დოკუმენტებში ასახული პოლიტიკური ნარატივების, სტრატეგიული პრიორიტეტებისა და აშშ-ის ჩართულობის განმსაზღვრელი ფაქტორების სისტემური შეფასება (Roller, 2023).

სენკაკუს/დიაოიუ დაოს დაპირისპირების ისტორიული წინაპირობები და ძირითადი ასპექტები

მნიშვნელობა და მდებარეობა

სენკაკუს კუნძულები წარმოადგენს აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში მდებარე რვა დაუსახლებელი კუნძულისგან შემდგარ არქიპელაგს. აღნიშნული ტერიტორია სადავოა ჩინეთს, იაპონიასა და ტაივანს შორის, რომლებიც ითხოვენ მასზე მმართველობას. იაპონიაში ეს არქიპელაგი ცნობილია სენკაკუს კუნძულების სახელწოდებით, ჩინეთში - დიაოიუ დაოს კუნძულებად, ხოლო ტაივანში - დიაოიუტაი ლიეიუს სახელით („The Senkaku Islands“, 2015). წინამდებარე კვლევაში გამოყენებულია ორი დასახელება: სენკაკუ და დიაოიუ დაო, რადგან ნაშრომის მიზანია ჩინეთ-იაპონიის ტერიტორიული დავისა და მასში აშშ-ის როლის განხილვა.

ჩინეთსა და იაპონიას აქვთ თავიანთ მოთხოვნები კუნძულებთან დაკავშირებით. ჩინეთის პოზიციიდან, სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულები იყო უძველესი დროიდან მისი საზღვაო ტერიტორია და რუკებსა და მრავალ დოკუმენტში განხილული იყო როგორც მინგის დინასტიის მმართველობის ქვეშ მყოფი სანაპირო თავდაცვითი ტერიტორია. ჩინელები ამ ტერიტორიას უძველესი დროიდან იყენებდნენ სათევზაოდ. იაპონური მხარის მტკიცებით კი, რომელიც არ აღიარებს ტერიტორიული დავის არსებობას ამ კუნძულებზე, კუნძულები ეკუთვნის მას, რადგან 1895 წელს ეს კუნძულები მან მიიერთა მხოლოდ მას შემდეგ რაც დამტკიცდა, რომ კუნძულები იყო დაუსახლებელი და სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა ცხოვრების არანაირი კვალი არ შეინიშნებოდა ამ ტერიტორიაზე. ეს მოხდა 1895 წელს, როდესაც ჩინეთ-იაპონიას შორის დადებული შიმონოსეკის ხელშეკრულების თანახმად ტაივანი (იმდროინდელი სახელწოდება- ფორმოსა) გადაეცა იაპონიას მისთვის მიკუთვნებულ სხვა კუნძულებთან ერთად, რომელშიც შედიოდა სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებიც. (Manyin, 2016) ეს კუნძულები იყო აშშ-ის ადმინისტრაციული მმართველობის ქვეშ, იმ დროიდან როდესაც იაპონიამ აღიარა დამარცხება მეორე

მსოფლიო ომში. აშშ-მ აღნიშნული კუნძულები გადასცა იაპონურ მხარეს მათი მოთხოვნით 1972 წლის ოკინავას დაბრუნების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე (Roy-Chaudhury, 2016).

იაპონური მხარის მტკიცებით, ჩინეთი აღნიშნული კუნძულებით დაინტერესდა 1970-იან წლებში, როდესაც ნავთობი და ბუნებრივი გაზი იქნა აღმოჩენილი აღნიშნულ კუნძულებზე. ძალიან ბევრი ჩინელი ამ კუნძულებს აღიქვამს, როგორც სიმბოლოს ჩინეთის ისტორიული მარცხისა. კუნძულები დღესაც კი იაპონია-ჩინეთის დაპირისპირების სერიოზულ წყაროს წარმოადგენს. დიაოიუ/დაოს კუნძულები შეიძლება ჩაითვალოს ჩინეთისთვის ეროვნული სიამაყის წყაროდ. მართალია, ისინი წარმოადგენენ პატარა კუნძულებს, მაგრამ ჩინელი ხალხი მათ მფლობელობას აღიქვამს როგორც პოლიტიკური ზეგავლენისა და უსაფრთხოების წარმოჩენას. არსებობს მოსაზრება, რომ კამათი მიმდინარეობს ნავთობის გამო, რომლის პოტენციური მარაგიც არსებობს მის გარშემო წყლებში. ჩინეთის ენერგო მოთხოვნილებები 2035 წლისთვის იქნება მსოფლიოს მოთხოვნილებების მეოთხედი და აღნიშნულ კუნძულებზე არსებული მარაგები შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ამ პრობლემის გარკვეულწილად აღმოსაფხვრელად (Goldman, 2015).

აშშ იჭერდა ყოველთვის ნეიტრალურ პოზიციას კუნძულების მიკუთვნებულობის საკითხთან მიმართებაში, რაც გამოიხატება იმით, რომ იგი არ საუბრობდა კუნძულებზე იაპონიისთვის სუვერენული უფლებების მინიჭებაზე. ის არ ცდილობს შეცვალოს პოზიცია და დღესაც კი საუბრობს კუნძულებზე იაპონიისთვის მხოლოდ ადმინისტრაციული მმართველობის უფლების მინიჭებაზე, თუმცა 1960 წლის აშშ-იაპონიის უსაფრთხოების შესახებ შეთანხმების მე-5 მუხლის თანახმად, ორივე - როგორც იაპონური, ასევე ამერიკული მხარე აღიარებს, რომ იაპონიის ადმინისტრაციული მმართველობის ქვეშ მყოფ ნებისმიერ ტერიტორიაზე სამხედრო თავდასხმის განხორციელება განხილული იქნება როგორც საერთო საფრთხე ორივე მხარისთვის, ეს კი წარმოაჩენს აშშ-ის მიერ აღებულ ვალდებულებას იაპონიის მიმართ. მართალია, ჩინეთი აშშ- იაპონიის ურთიერთობას განიხილავს არალეგალურად, მაგრამ ეს ურთიერთობები არსებობს და შეიძლება ითქვას ერთგვარი შემაკავებელი ეფექტიც აქვს ჩინეთისთვის იაპონიის მიმართ დამოკიდებულების გამოვლენისას (Manyin, 2017).

კუნძულების მიკუთვნებულობა- მხარეთა არგუმენტები

<u>იაპონური მხარის პოზიცია:</u> იაპონური მხარის მტკიცებით, 1895 წლის 14 იანვარს, მას შემდეგ რაც დადგინდა, რომ კუნძულების სხვა სახელმწიფოს მმართველობის ქვეშ ყოფნის დამადასტურებელი არანაირი საბუთი არ არსებობდა, იაპონიის მთავრობამ მოახდინა კუნძულების შეყვანა იაპონიის მმართველობის ქვეშ იმ დროს არსებული საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს გათვალისწინებით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სან ფრანცისკოს ხელშეკრულების თანახმად, სენკაკუს კუნძულები გადავიდა აშშ-ის ადმინისტრაციული მმართველობის ქვეშ როგორც ოკინავას (კუნძული იაპონიაში, რომელშიც იგულისხმება სენკაკუს კუნძულები) ნაწილი, რაც კიდევ ერთხელ იმეორებდა, რომ კუნძულები იყო იაპონური ტერიტორიის ნაწილი (,,Situation of the Senkaku Islands", 2014).

1972 წელს დადებული ოკინავას დაბრუნების შესახებ შეთანხმების თანახმად, ოკინავა სენკაკუს კუნძულების ჩათვლით დაუბრუნდა იაპონიას და აღსდგა იაპონიის ადმინისტრაციული მმართველობა აღნიშნულ ტერიტორიაზე. იაპონური მხარის მიერ გამოხატული პოზიციის თანახმად, ეს ფაქტები ნათლად გვიჩვენებს, რომ სენკაკუს კუნძულები წარმოადგენს იაპონიის ნაწილს ომის შემდგომი საერთაშორისო წესრიგის თანახმად და საერთაშორისო სამართლის პრინციპების საფუძველზე. იაპონური მხარის მიერ გატარებული პოზიციით, ჩინეთი 1895 წლიდან მთელი 75 წლის მანძილზე არანაირ პრეტენზიას არ გამოთქვამდა სენკაკუს კუნძულების იაპონური ადმინისტრაციული მმართველობის ქვეშ ყოფნასთან დაკავშირებით, თუმცა ეს შეიცვალა 1970-იან წლებში, როდესაც კუნძულებს მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში ნავთობის შესაძლო მარაგების არსებობის ფაქტის გამოვლენის შემდეგ.

იაპონია გამოხატავს სურვილს, რომ ჰქონდეს სტაბილური ურთიერთობა ჩინეთთან და აცხადებს, რომ ეს საჭირო და მნიშვნელოვანია ორივე ქვეყნის მოსახლეობისთვის, ასევე რეგიონისთვის და საერთაშორისო საზოგადოებისთვის. იაპონია გააგრძელებს ,,ორივე მხარისთვის სასარგებლო სტრატეგიული ურთიერთობის“ ჩამოყალიბების ხელშეწყობას ჩინეთთან, თუმცა სენკაკუს კუნძულებთან დაკავშირებით ღიად აცხადებს, რომ ეს კუნძულები 1971 წლის ოკინავას ხელშეკრულების თანახმად წარმოადგენენ იაპონური ტერიტორიის ნაწილს და ისინი არ დათმობენ ამ ტერიტორიას. (,,Situation of the Senkaku Islands", 2014)

<u>ჩინური მხარის პოზიცია:</u> ჩინური მხარის მტკიცებით, დიაოიუ დაოს კუნძულები არ ყოფილა განხილვის საგანი და არ არსებობდა არანაირი დაპირისპირება ამ საკითხთან დაკავშირებით მანამ სანამ იაპონურმა მხარემ არ განახორციელა არალეგალური ქმედება 1895 წელს და არ მოახდინა ამ კუნძულების ოკუპაცია შიმონოსეკის ხელშეკრულების საფუძველზე (,,Treaty of Shimonoseki", n.d.). დიაოიუ დაოს კუნძულები არის ჩინეთის ტერიტორია ისტორიულად და კანონიერად. სწორედ ჩინელმა ხალხმა აღმოაჩინა ეს კუნძულები და სწორედ მან შეარქვა ეს სახელი.

კუნძულების ჩინეთისადმი მიკუთვნებულობის კანონიერ მაგალითად ჩინეთს მოჰყავს საერთაშორისო სამართალი და ამბობს, რომ საერთაშორისო კანონიერ დოკუმენტებში არის ნათელი დადასტურებები იმისა, რომ კუნძულები ეკუთვნის ჩინეთის მხარეს. ამის დასტურად ჩინეთს მოჰყავს ქაიროს დეკლარაცია და პოტსდამის დეკლარაცია, სადაც საუბარია იმაზე, რომ დიაოიუ დაო და მასში შემავალი კუნძულები უნდა დაუბრუნდეს ჩინეთს ტაივანთან ერთად (,,Treaty of Shimonoseki", n.d.). . ძალიან ნათლად არის ამ დეკლარაციებში გაწერილი, რომ იაპონიამ უნდა დაუბრუნოს ჩინეთს ყველა ის ტერიტორია, რომელიც მან მოსტაცა ჩინეთს. აქედან გამომდინარე, დიაოიუ დაო და მის შემადგენლობაში მყოფი ყველა კუნძული უნდა დაბრუნებოდა მას.

ჩინეთი დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებული დაპირისპირების გამძაფრებაში ადანაშაულებს აშშ-ს, რომელმაც 1971 წელს იაპონიას გადასცა ადმინისტრაციული უფლებები დიაოიუ დაოს კუნძულებზე, რომლებიც თავის დროზე არაკანონიერად იყო აშშ-სთვის გადაცემული. ჩინეთმა გააკეთა განცხადება, რომ აღნიშნული ქმედება იყო უკანონო და არ უნდა შეცვლილიყო ჩინეთის უფლებები დიაოიუ დაოს კუნძულებთან მიმართებაში.

1972 წელს აღდგენილი იქნა დიპლომატიური ურთიერთობები ჩინეთსა და იაპონიას შორის, ამ დროს კი მიღწეული იქნა კონსესუსი იმასთან დაკავშირებით, რომ ,,დიაოიუ დაოს საკითხი გადაედოთ გვერდზე, მომავალში განსახილველად" (,,Vice Foreign Minister," 2012). მიუხედავად ამ შეთანხმებისა, დღესაც კი არ წყდება დაპირისპირება კუნძულებთან დაკავშირებით და შეუძლებელია შეწყდეს, რადგან არცერთი მხარე არ აპირებს დათმობას.

<u>აშშ-ის პოზიცია:</u> აშშ-ის ადმინისტრაციული მმართველობა კუნძულებზე დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როგორც შედეგი 1951 წელს აშშ-სა და იაპონიას შორის მშვიდობის შესახებ დადებული ხელშეკრულებისა. (,,Security Treaty Between the United States and Japan," 1951) მართალია, ხელშეკრულებაში არ ყოფილა ნახსენები სენკაკუს კუნძულები, თუმცა საუბარი იყო სხვა ადგილებზე, რომლებიც დაბრუნებული იყო ჩინეთის კონტროლის ქვეშ, ან რომელსაც ჩინეთი ითხოვდა და მათ შორის იყო მოაზრებული სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულები. აშშ თავიდანვე შეიძლება კონფლიქტში მონაწილე მხარედ აღვიქვათ, რადგან მას ყოველთვის ჰქონდა გარკვეული ინტერესები კუნძულების მიმართ რეგიონში.

ოკინავას ხელშეკრულების დადებამდე, ჩინეთი გამოთქვამდა პროტესტს აშშ-ის კონფლიქტში ჩართულობასთან დაკავშირებით. იაპონიაც აპროტესტებდა იმ ფაქტს, რომ აშშ გამოხატავდა აშკარად ნეიტრალურ პოზიციას კუნძულებზე სუვერენიტეტის საკითხთან დაკავშირებით. აშშ-ის გადაწყვეტილება, საკამათო კუნძულები მოექცია ოკინავას ხელშეკრულებით დასაბრუნებელ ტერიტორიათა რიცხვში, მრავალი ავტორისა და ექსპერტის მიერ აღქმული იქნა როგორც ნეიტრალურობის შენარჩუნება. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, ეს შეთანხმება არ ახდენდა ეფექტს კუნძულების ლეგალური სტატუსის განსაზღვრაზე. ასევე ერთ-ერთი განცხადების თანახმად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და იაპონია ითხოვდნენ სუვერენულ უფლებებს კუნძულებზე. სახელმწიფო დეპარტამენტი ამბობდა, რომ სან ფრანცისკოს შეთანხმების თანახმად, აშშ-მა მიიღო ადმინისტრაციული მმართველობის უფლება კუნძულებზე და არა სუვერენიტეტის უფლება. ასე რომ, აშშ-ის ქმედება თავისი ადმინისტრაციული უფლებების იაპონისთვის გადაცემისა, არ გულისხმობს სუვერენიტეტის გადაცემას კუნძულებზე (Shaw, 1999).

აღნიშნულ დაპირისპირებაში აშშ-ის როლი გამომდინარეობს იქიდან, რომ იგი წარმოადგენს იაპონიის სტრატეგიულ პარტნიორს. აშშ-ს ჰყავს განთავსებული სამხედრო ბაზები იაპონიაში, სამაგიეროდ იაპონია აშშ-სგან ელოდება დახმარებას, საჭიროების შემთხვევაში. აშშ-ის პრეზიდენტი ადასტურებდა მზადყოფნას ამისთვის, თუმცა ასევე აღნიშნავდა, რომ დაპირისპირების ესკალაცია ყველა მხარეს სერიოზულ ზიანს მიაყენებდა (,,How uninhabited islands," 2014). ეს განცხადება ნათელს ხდის, რომ აშშ არ არის მომხრე დავის შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაზრდისა, თუმცა მის მიერ აღებული ვალდებულება იაპონიის მიმართ, მას არ ავიწყდება.

აშშ-ის დამოკიდებულება ჩინეთ-იაპონიის დაპირისპირების მიმართ

დაპირისპირებაში ჩართულობა - ჩინეთისგან მომდინარე საფრთხის თავიდან აცილების მცდელობა

ძლიერი სახელმწიფოების მიერ მართულ მსოფლიოში, სადაც ძალაუფლების მიღწევა მთავარი მიზანია, ჩინეთი ახერხებს იყოს ,,ჰარმონიული ურთიერთობების" დამყარების მოსურნე სახელმწიფო, რომელიც ძლიერი ქვეყნის სტატუსს სულ უფრო და უფრო მეტად ირგებს. მისი განვითარების სისწრაფე მკვლევარებს აძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ეკონომიკური განვითარების დონით იგი მალე აშშ-ს გაასწრებს. აშშ ხედავს ჩინეთის გაძლიერებიდან მომდინარე საფრთხეს და ყველა შესაძლო საშუალებით ცდილობს გაანეიტრალოს ჩინეთის ფაქტორი როგორც აღმოსავლეთ აზიის რეგიონში, ასევე მსოფლიოში.

აშშ-ის ინტერესები რეგიონში დაკავშირებულია მრავალ მნიშვნელოვან ფაქტორთან. მას ეს რეგიონი სჭირდება საკუთარი ტერიტორიების დასაცავად, ასევე რეგიონულ ბაზარზე წვდომისთვის, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად კი მიიჩნევა ძალთა ბალანსის შენარჩუნება და რეგიონში ნებისმიერი ჰეგემონის, ან ძლიერ სახელმწიფოთა ჯგუფის გაძლიერებისთვის ხელის შეშლა, რაც მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს რეგიონთან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნიდა და მის ძალაუფლებას დაასუსტებდა (Przystup, 2009).

აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის განსაკუთრებული მნიშვნელობა აშშ-სთვის განსაკუთრებით გამოიკვეთა მსოფლიო ფინანსური კრიზისის მერე, როდესაც რეგიონი გამოჩნდა როგორც აქტიური ეკონომიკური და პოლიტიკური მოთამაშე მსოფლიო პოლიტიკაში. ჰილარი კლინტონი, თავის განცხადებაში 2011 წელს ამბობდა, რომ ,,აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი წარმოადგენს მსოფლიო პოლიტიკის მთავარ მამოძრავებელს. რეგიონი სტრატეგიულად არის ძალიან მნიშვნელოვანი" (Sana, 2012).

აშშ-ის დამოკიდებულების ცვლილება დროში

ჩინურ მხარეს, კუნძულების მიკუთვნებულობაზე საუბრისას, არგუმენტად მოჰყავს სხვადასხვა დოკუმენტები, რომლებიც მისი მტკიცებით, ადასტურებს კუნძულების მიკუთვნებულობას ჩინეთისადმი. ზუსტად იგივე დამოკიდებულება აქვს იაპონიას, რომელსაც ასევე მოჰყავს საფუძვლად დოკუმენტები, რომლითაც ადასტურებს ამ კუნძულების მიკუთვნებულობას იაპონიისადმი. არსებობს ორი მხარე და არსებობს ორი ურთიერთდაპირისპირებული მოსაზრება. ყველაზე საინტერესო ფაქტი კი არის ის, რომ მათ მიერ არგუმენტად მოყვანილ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებში ფიგურირებს აშშ, რომელიც როგორც კუნძულების ჩინეთისადმი მიკუთვნებას უჭერდა მხარს, ასევე უჭერს მხარს ამ კუნძულების იაპონიისადმი მიკუთვნებას, თუმცა განსხვავება არის დროის მონაკვეთებში.

შიმონოსეკის ხელშეკრულება: ჩინეთსა და იაპონიას შორის დაიდო 1895 წლის 17 აპრილს. ხელშეკრულების თანახმად, ტაივანი და მასზე მიერთებული კუნძულები, რომელთა შორისაც მოიაზრებოდა დიაოიუ დაოს კუნძულები, უნდა გადასცემოდა იაპონიას (,,Treaty of Shimonoseki," 1895). 1900 წელს იაპონიამ შეუცვალა სახელი დიაოიუ დაოს და დაარქვა სენკაკუს კუნძულები, ამის შემდეგ იაპონური მხარე ამ

კუნძულებს მოიხსენიებს სენკაკუს სახელწოდებით (,,Diaoyu Dao, an Inherent Territory," 2012).

ა) აშშ, როგორც უკვე ითქვა, კონფლიქტის ერთ-ერთ მთავარ მონაწილედ შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან კუნძულებთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში იგი ყოველთვის ჩართული იყო. მისი მონაწილეობა გამოიხატება ძირითადად ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებში გამოვლენილი დამოკიდებულებით. იკვეთება აშშ-ის მიერ გამოვლენილი განსხვავებული დამოკიდებულებები დროის გარკვეულ მონაკვეთებში. ქვემოთ ჩამოთვლილი რამდენიმე ხელშეკრულების მიხედვით, იგი კუნძულებს აკუთვნებს ჩინეთს, ხოლო მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან უკვე აფორმებს ოფიციალურ ხელშეკრულებებს იაპონიის სასარგებლოდ.

ქაიროს ხელშეკრულება: ქაიროს დეკლარაციის თანახმად, რომელიც გაფორმდა ჩინეთს, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს შორის ქაიროში, 1943 წელს, იაპონიას უნდა დაებრუნებინა ყველა ის ტერიტორია, რაც მიკუთვნებული ჰქონდა 1914 წლის პირველი მსოფლიო ომის შედეგად და ასევე ყველა ტერიტორია, რომელიც მიტაცებული ჰქონდა ჩინეთისგან, მათ შორის იყო საუბარი ფორმოსაზე (ტაივანი), რომელშიც იგულისხმებოდა დიაოიუ დაოს კუნძულები. (,,Cairo Conference," 1943) ამ შეთანხმებიდან კარგად ჩანს აშშ-ის დამოკიდებულება იაპონიის მიმართ. იგი ჩინეთთან დებს ხელშეკრულებას იმის თაობაზე, რომ იაპონიამ ყველა მიტაცებული ტერიტორია დაუბრუნოს ჩინეთს.

პოტსდამის დეკლარაციის თანახმად, რომელიც დაიდო 1945 წელს და რომლის მიღებაშიც მონაწილეობდა სამი მხარე- აშშ, ჩინეთი და დიდი ბრიტანეთი, უნდა შესრულებულიყო ქაიროს დეკლარაციით იაპონიისთვის დაკისრებული ვალდებულებები, უნდა მომხდარიყო იაპონიის მიერ ჩინეთისთვის წართმეული ტერიტორიების ჩინეთისთვის დაბრუნება (,,Potsdam Declaration," 1945). საბჭოთა კავშირმა აღნიშნულ დეკლარაციას მოაწერა ხელი მას შემდეგ, რაც გამოცხადებული იქნა ომი იაპონიის წინააღმდეგ. პოტსდამის დეკლარაცია ადასტურებდა ქაიროს დეკლარაციით განსაზღვრულ ვალდებულებებს და უწესებდა იაპონიას, მოეხდინა დეკლარაციებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება, თუმცა ეს ვალდებულებები დღესაც არაა შესრულებული და იაპონური მხარე აღნიშნულის შესრულებას არც თვლის საჭიროდ (,,Potsdam Declaration is still valid today," 2015).

იაპონიის კაპიტულაციის შესახებ დოკუმენტი ხელმოწერილი იქნა 1945 წლის 2 სექტემბერს იაპონიის მიერ, რომლის შედეგადაც დასრულდა მეორე მსოფლიო ომი. ეს ხელშეკრულება მომზადდა აშშ-ის საბრძოლო დეპარტამენტის მიერ და დადასტურებული იქნა პრეზიდენტ ჰარი ტრუმანის მიერ. რვა პარაგრაფში გაწერილი იყო იაპონიის მიერ კაპიტულაციის გამოცხადების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, იაპონია აცხადებდა უპირობო კაპიტულაციას. იგი თანხმდებოდა შეესრულებინა პოტსდამის დეკლარაციით დადგენილი ვალდებულებები, რაც, რა თქმა უნდა მოიცავდა, სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების ჩინეთისთვის დაბრუნების ვალდებულებასაც. (,,Instrument of Surrender," 1945)

აშშ-ის ჩართულობა აღნიშნული დოკუმენტის შემუშავებაში ნათლად აჩვენებს, რომ მე-20 საუკუნის განმავლობაში იაპონიის ქმედებებთან დაკავშირებით არსებულ დოკუმენტებში და იაპონიასთან დაკავშირებულ საკითხებში, აშშ ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ამ პერიოდში, აშშ ჯერ კიდევ მეტოქედ აღიქვამდა იაპონიას და მის მიმართ განხორციელებული ქმედებებიც ამ დამოკიდებულების

შესაბამისი იყო. თუმცა, შემდგომში, უკვე შეიმჩნევა იაპონიის მიმართ გამოხატული მეგობრული დამოკიდებულება, რაც აისახება სწორედ სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ საკითხებზეც.

ზემოთ ნახსენები დოკუმენტები მოჰყავს ჩინეთს იმის დასასაბუთებლად, რომ კუნძულები ნამდვილად მისი საკუთრებაა ისტორიულად და კანონიერად. თუმცა, მიუხედავად ამ ხელშეკრულებების არსებობისა, მათში გაწერილი შესასრულებელი ვალდებულებებისა და აშშ-ის დამოკიდებულებისა ამ ფაქტების მიმართ, რომელსაც ამჟღავნებდა 1971 წლამდე, აღნიშნული კუნძულები დღესაც არის იაპონიის ადმინისტრაციული მმართველობის ქვეშ, აშშ კი ძირითად მხარდამჭერს წარმოადგენს ამ საკითხში.

ბ) მომდევნო წლებში სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ დავაში აშკარად გამოიკვეთა აშშ-ის პოზიციის ცვლილება. იგი უკვე იაპონიას უჭერდა მხარს და საუბრობდა იმაზე, რომ სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულები უნდა ყოფილიყო იაპონური ადმინისტრაციული მმართველობის ქვეშ. ამასთან, აშშ ოფიციალურად არ აცხადებდა, რომ კუნძულებზე იაპონიის სუვერენიტეტს აღიარებდა. მისი პოზიცია შეეხებოდა მხოლოდ ადმინისტრაციულ კონტროლს, რომელიც განსხვავდება ტერიტორიული კუთვნილების საკითხისგან.

სან-ფრანცისკოს სამშვიდობო ხელშეკრულება: 1951 წელს ხელმოწერილი იქნა სან ფრანცისკოს სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელიც იაპონიას მოჰყავს იმის დასტურად, რომ სენკაკუს კუნძულები ეკუთვნის მას. აღნიშნული ხელშეკრულების მე-2 მუხლის თანახმად, იაპონია სენკაკუს კუნძულებთან დაკავშირებით აცხადებს, რომ ეს კუნძულები რჩება იაპონიის მმართველობის ქვეშ, რომელზეც ადმინისტრაციულ უფლებებს განახორციელებს აშშ. მას ექნება უფლება განახორციელოს ადმინისტრაციული, საკანონმდებლო და სასამართლო ხასიათის ნებისმიერი ქცევა აღნიშნულ კუნძულებთან და კუნძულების მაცხოვრებლებთან მიმართებაში, მათი ტერიტორიული წყლების გათვალისწინებით (,,Treaty of Peace with Japan," 1951). აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით, აშშ ეთანხმება კუნძულების იაპონიის შემადგენლობაში არსებობის ფაქტს, თუმცა ყველა სახის ადმინისტრაციული უფლება ენიჭება მას, როგორც კუნძულებზე ადმინისტრაციული მმართველობის განმახორციელებელს. სწორედ სან ფრანცისკოს შეთანხმებას განიხილავს იაპონიისადმი კუნძულების მიკუთვნების მთავარ არგუმენტად იაპონია და ამბობს, რომ სან ფრანცისკოს სამშვიდობო ხელშეკრულება იყო ის ხელშეკრულება, რომელიც მოსდევდა ქაიროსა და პოტსდამის დეკლარაციებს და სწორედ სან-ფრანცისკოს ხელშეკრულებამ განსაზღვრა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონიის ტერიტორიები კანონიერად (Ministry of Foreign Affairs, 2013). სან-ფრანცისკოს სამშვიდობო ხელშეკრულებით აშშ-მა მიიღო რიუკიუს კუნძულებზე, მათ შორის იაპონიის ინტერპრეტაციით სენკაკუს კუნძულებზე, ადმინისტრაციული უფლებამოსილება. ამ ხელშეკრულებამ არ განსაზღვრა კუნძულებზე სუვერენიტეტის საკითხი, რის გამოც მხარეები მას განსხვავებულად განმარტავენ.

კუნძულების იაპონიისადმი მიკუთვნებულობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან არგუმენტად იაპონიას მოჰყავს ასევე 1971 წელს აშშ-სა და იაპონიას შორის ხელშეკრულების დადების ფაქტი, რომლის თანახმადაც აშშ-მა სან ფრანცისკოს შეთანხმების თანახმად მისთვის მინიჭებული ადმინისტრაციული, საკანონმდებლო და იურიდიული უფლებები კუნძულებსა და კუნძულების მაცხოვრებლებზე გადასცა იაპონიას. აღნიშნული ხელშეკრულება ცნობილია „ოკინავას დაბრუნების შესახებ

ხელშეკრულების“ სახელწოდებით. ხელშეკრულების მე-3 მუხლის თანახმად, იაპონია აძლევს უფლებას აშშ-ს გამოიყენოს კუნძულების ტერიტორია და მასზე არსებული ყველა საშუალება, რაც გაწერილი იყო ურთიერთთანამშრომლობისა და უსაფრთხოების შესახებ აშშ-სა და იაპონიას შორის ვაშინგტონში 1960 წლის 19 იანვარს ხელმოწერილ ხელშეკრულებაში. ხელშეკრულებაში მოხსენიებული რიუკიუს კუნძულები მოიცავს თავის მხრივ ოკინავას, რომელშიც იგულისხმება სენკაკუს კუნძულებიც, რომლის გარშემოც მიმდინარეობს დავა (,,Agreement Between the United States of America and Japan," 1971).

მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს იაპონიის მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ტერიტორიული მოწყობის ზოგადი საკითხი და სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების კონკრეტული სამართლებრივი სტატუსი. ქაიროსა და პოტსდამის დეკლარაციები ადგენდნენ იაპონიის მიერ ომის პერიოდში დაკავებული ტერიტორიების დაბრუნების ზოგად პრინციპებს, თუმცა ისინი პირდაპირ არ განსაზღვრავდნენ სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების სამართლებრივ სტატუსს. სწორედ ამიტომ გახდა მოგვიანებით სან-ფრანცისკოს სამშვიდობო ხელშეკრულებისა და ოკინავას დაბრუნების შესახებ შეთანხმების ინტერპრეტაცია დავის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი.

ხელშეკრულებებისა და იაპონიასა და ჩინეთს შორის არსებული მდგომარეობის განხილვისას ნათლად ჩანს აშშ-ის მიერ გამოვლენილი ცვალებადი პოზიცია. აშშ-მა, რომელიც მეოცე საუკუნის მეორე ნახევრამდე გამოხატავდა იაპონიის საწინააღმდეგო პოზიციას, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრისთვის შეცვალა დამოკიდებულება და მოგვევლინა იაპონიის მხარდამჭერად კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ საკითხზე. ამის მიზეზად შეიძლება ჩავთვალოთ ის ფაქტი, რომ აშშ წარმოადგენს მსოფლიო ჰეგემონს, მას არ სურს ამ სტატუსის დაკარგვა და მაშინ როცა აშშ-ჩინეთს შორის წარმოიშვა უთანხმოებები (მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისი), აშშ-მა აშკარად დაიჭირა იაპონიის მხარე.

დაპირისპირების მნიშვნელობა- ანგარიშები და ოფიციალური განცხადებები აშშ-ის ქმედებებთან დაკავშირებით

აშშ-ის ჩართულობა სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ საკითხებში დაპირისპირების დაწყების პერიოდიდანვე კარგად ჩანს. სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით ვითარების ნებისმიერი დაძაბვა გულისხმობს, რომ აშშ-ს შეიძლება მოუხდეს მდგომარეობის გართულების შემთხვევაში ჩარევა და იაპონიის მხარდაჭერა. მის მიერ გამოვლენილი დამოკიდებულებიდან ჩანს, რომ რეგიონი იმდენად მნიშვნელოვანია მისთვის, თანახმაა, აღებული ვალდებულებები შეასრულოს (საჭიროების შემთხვევაში).

აშშ-ის ოფიციალური დოკუმენტები თანმიმდევრულად განასხვავებს ორ ცნებას: ადმინისტრაციულ კონტროლსა და სუვერენიტეტს. აშშ-ის პოზიციის მიხედვით, იაპონია ახორციელებს კუნძულების ადმინისტრირებას, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ აშშ სამართლებრივად წყვეტს მათი სუვერენიტეტის საკითხს.

- 2014 წლის 14 მაისის ანგარიშში ერთ-ერთ საკითხად გამოვლენილია აღმოსავლეთ აზიის ზღვაში სენკაკუს კუნძულების გარშემო არსებული დაპირისპირება, რომელშიც სამი მხარეა ჩართული. კონგრესი აყალიბებს თავის პოზიციას,

რომლის თანახმადაც, სენკაკუ არის იაპონიის ადმინისტრაციული მმართველობის ქვეშ და ვერცერთი სხვა სახელმწიფოს ქცევა ვერ შეცვლის მის ამ სტატუსს. ამ ანგარიშში არის ნახსენები 1960 წლის აშშ-იაპონიის უსაფრთხოების შესახებ შეთანხმება, რომელიც ავალდებულებს აშშ-ს, დაიცვას იაპონიის ადმინისტრაციული მმართველობის ქვეშ მყოფი ტერიტორიები და მათ შორის სენკაკუს კუნძულები (Dolven, Manyin, & Kan, 2014).

- 2016 წლის 9 თებერვლის კონგრესის ანგარიშშიც ექცევა ყურადღება სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ დაპირისპირებას ჩინეთსა და იაპონიას შორის და საუბარია 2012 წლის ბოლოდან ჩინეთის მხრიდან დაწყებულ ქმედებებზე კუნძულებთან დაკავშირებით, როდესაც ჩინეთმა განათავსა კუნძულების სიახლოვეს სამხედრო ხომალდები და ეს ქმედება გაახმოვანა როგორც ,,ჩინეთის ტერიტორიულ წყლებზე" იურისდიქციის განხორციელების საკითხი. 2010 წლიდან მოყოლებული კუნძულებთან დაკავშირებით ვითარების რამდენიმეჯერ დაძაბვის შემდეგ აშშ-მა განაცხადა, რომ ის არ უჭერს მხარს იაპონური მხარისთვის კუნძულებზე სუვერენიტეტის გადაცემას, მაგრამ ეს კუნძულები არის აშშ-იაპონიის უსაფრთხოების შესახებ ხელშეკრულების მე-5 მუხლის სუბიექტი, რომლის თანახმადაც, აშშ არის ვალდებული დაიცვას ,,იაპონიის ადმინისტრაციული მმართველობის ქვეშ არსებული ტერიტორიები", რომელშიც, პირველ რიგში, იგულისხმება სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულები (Chanlett-Avery & Rinehart, 2016).
- 2018 წლის 24 მაისის ანგარიშში აშშ-ის მხრიდან ჩამოყალიბებულია დამოკიდებულება, რომ მხარს უჭერს სახელმწიფოებს შორის დავების მშვიდობიანად, საფრთხეებისა და ძალის გამოყენების გარეშე, საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად გადაჭრას. ასევე, მას მკაცრად აქვს ჩამოყალიბებული თავისი პოზიცია სამხრეთ ჩინეთის ზღვასა და აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში (სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულები) სუვერენიტეტის უფლებების გადაცემასთან დაკავშირებით და ამბობს, რომ სადავო კუნძულები არის იაპონიის ადმინისტრაციული მმართველობის ქვეშ და სტატუს კვოს ცვლილებისთვის განხორციელებული ნებისმიერი უნილატერალური ქმედება გაზრდის დაძაბულობას. ამ ანგარიშშიც ნახსენებია აშშ-იაპონიას შორის ურთიერთთანამშრომლობისა და უსაფრთხოების შესახებ ხელშეკრულება, რომლის მე-5 მუხლი ამბობს, რომ შეთანხმების ორივე მხარე ეთანხმება იაპონიის ადმინისტრაციული მმართველობის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე ნებისმიერი შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში ამ ქმედების განხილვას როგორც საერთო საფრთხისა და აშშ ,,პატივს სცემს შეთანხმებით განსაზღვრულ ყველა ვალდებულებას", თუმცა აზუსტებს მმართველობის ხასიათს, ის საუბრობს კუნძულებზე იაპონიის მხრიდან ადმინისტრაციულ მმართველობაზე და არა სუვერენიტეტზე (Rourke, 2018).
- 2021 წლის 1 მარტის ანგარიშში ასევე გაწერილია აშშ-ის ოფიციალური პოლიტიკა სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით: აშშ არ გამოთქვამს პოზიციას კუნძულების სუვერენიტეტთან დაკავშირებით, თუმცა აცხადებს, რომ ისინი არის იაპონიის მიერ ადმინისტრირებული ტერიტორია და 1960 წლის აშშ-იაპონიის უსაფრთოების ხელშეკრულების (მე-5 მუხლი) გარანტია ვრცელდება კუნძულებზე. ანგარიში ხაზს უსვამს, რომ აშშ-ის პოზიცია უცვლელია სხვადასხვა ადმინისტრაციის დროს და აშშ გმობს ნებისმიერ ერთმხრივ მცდელობას სტატუს კვოს შეცვლისა აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ ბოლო წლებში ჩინეთის აქტივობების ზრდის ფონზე აშშ აქტიურად უჭერს მხარს

იაპონიას საზღვაო და კუნძულების დაცვის საკითხში, რაც ხაზს უსვამს მისთვის რეგიონული სტაბილურობისა და მოკავშირეობის მნიშვნელობას (Manyin, 2021).

აშშ აცნობიერებს, რომ მას აქვს აღებული იაპონიის მიმართ ვალდებულება, იაპონიის მისამართით განხორციელებული ნებისმიერი უკანონო ქმედების შემთხვევაში, მხარი დაუჭიროს მას. ეს ვალდებულება მას აქვს აშშ-იაპონიის უსაფრთხოების შესახებ ხელშეკრულების მე-5 მუხლის თანახმად, რომელიც ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კონგრესის ანგარიშში ჩანს და ასევე ჩანს კიდევ მრავალ სხვა ოფიციალურ დოკუმენტსა თუ განცხადებაში:

- აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას ტოკიოში ვიზიტის დროს, 2014 წელს გაკეთებულ განცხადებაში, მან ისაუბრა იაპონიასთან არსებული ალიანსის დიდ მნიშვნელობაზე და ახსენა აშშ-იაპონიის თანამშრომლობისა და უსაფრთხოების შესახებ შეთანხმება. მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ შეეწინააღმდეგება იაპონიის უფლებების დარღვევისკენ მიმართულ ნებისმიერ მცდელობას. კუნძულები არის იაპონიის ადმინისტრაციული მმართველობის ქვეშ და ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც გაწერილია აშშ-იაპონიას შორის არსებულ შეთანხმებაში, იქნება შესრულებული აშშ-ის მიერ (Panda, 2014).
- აშშ-ის თავდაცვის მდივნის ჯეიმს მატისის მიერ 2017 წლის თებერვალში გაკეთებული განცხადებით, კიდევ ერთხელ იკვეთება აშშ-ის მიერ გამოვლენილი მზადყოფნა შეასრულოს აშშ-იაპონიის თანამშრომლობისა და უსაფრთხოების შესახებ შეთანხმების მე-5 მუხლით ნაკისრი ვალდებულებები. მან კიდევ ერთხელ დაადასტურა აშშ-ის მიერ გაცხადებული ვალდებულება, რომ დაიცვას იაპონიის ადმინისტრაციული მმართველობის ქვეშ მყოფი ტერიტორიები თავდასხმისგან და აქცენტი გააკეთა სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებზე აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში (Panda, 2017).
- 2017 წლის თებერვალში აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპისა და იაპონიის პრემიერ მინისტრ შინზო აბეს შეხვედრისას გაკეთებული განცხადებებით, ისინი აღიარებენ მათ მიერ ამ შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში არსებული სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების მიმართ (The White House, 2017).
- 2023 წლის 11 იანვარს აშშ-იაპონიის უსაფრთხოების საკონსულტაციო კომიტეტის სხდომაზე აშშ-ისა და იაპონიის ლიდერებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს თავიანთი ურყევი ვალდებულება რეგიონული მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართ, განსაკუთრებით ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონში, და აღნიშნეს აშშ-იაპონიის უსაფრთხოების ხელშეკრულების მე-5 მუხლის მოქმედება სენკაკუს კუნძულებზე (U.S. Mission Japan, 2023).
- 2025 წლის 7 თებერვალს აშშ-ისა და იაპონიის ლიდერების შეხვედრის შემდეგ გავრცელებულ ერთობლივ განცხადებაში ასევე აშშ ხაზგასმით ადასტურებს თავის ურყევ ვალდებულებას იაპონიის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართ, ყველა შესაძლებლობის გამოყენებით, მათ შორის ბირთვული შესაძლებლობების ჩათვლით. ლიდერებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ აშშ-იაპონიის ურთიერთდაცვითი და უსაფრთხოების ხელშეკრულების მე-5 მუხლი ვრცელდება სენკაკუს კუნძულებზე და მკაფიოდ გამოხატეს წინააღმდეგობა ნებისმიერი ქმედების მიმართ, რომელიც ეწინააღმდეგება იაპონიის გრძელვადიან, მშვიდობიან და სამართლებრივად გამყარებულ ადმინისტრირებას სენკაკუს კუნძულებზე (The White House, 2025).

ეს ყველაფერი ნათლად მიუთითებს ამ პატარა კუნძულების მნიშვნელობაზე, რომელიც რეგიონში მოქმედი სამი ძლიერი სახელმწიფოს ურთიერთობების განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორია.

დასკვნა

სტატიის მიზანი იყო აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებულ დავაში აშშ-ის ჩართულობის მიზეზების კვლევა. ჩატარებული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ჩინეთისა და იაპონიის მიმართ გამოვლენილი პოლიტიკის საშუალებით აშშ ცდილობს ხელი შეუშალოს ჩინეთის რეგიონში ერთადერთ დომინანტ ძალად ჩამოყალიბებას, რაც საფრთხეს შეუქმნიდა მის სტრატეგიულ ინტერესებს. ამ კონტექსტში იაპონია აშშ-ისთვის წარმოადგენს მნიშვნელოვან მოკავშირეს, რომლის მხარდაჭერაც ხელს უწყობს აღმოსავლეთ აზიაში ძალთა ბალანსის შენარჩუნებას და ჩინეთის გაძლიერების შეკავებას.

კვლევის შედეგები ადასტურებს ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების გარშემო ჩინეთ-იაპონიას შორის არსებული დაპირისპირების პირობებში იაპონიის მხარდაჭერა აშშ-ს საშუალებას აძლევს შეინარჩუნოს ერთ-ერთი წამყვანი როლი რეგიონში. ამავდროულად, კუნძულების სტრატეგიული მნიშვნელობა და ბუნებრივი რესურსებით სიმდიდრე შეიძლება განიხილებოდეს როგორც დამატებითი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ჩინეთ-იაპონია-აშშ-ის ურთიერთობებზე, თუმცა ისინი არ წარმოადგენს აშშ-ის ჩართულობის მთავარ განმსაზღვრელ მიზეზს.

კვლევამ აჩვენა, რომ დავის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ საერთაშორისო დოკუმენტების განსხვავებული ინტერპრეტაციაა. ამ ინტერპრეტაციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადმინისტრაციული კონტროლისა და სუვერენიტეტის ერთმანეთისგან გამიჯვნას, რადგან აშშ ოფიციალურად აღიარებს იაპონიის ადმინისტრაციულ მმართველობას, თუმცა არ იკავებს პოზიციას კუნძულების საბოლოო სუვერენიტეტის საკითხზე. აშშ-ის აქტიური ჩართულობა კუნძულებთან დაკავშირებულ დაპირისპირებაში ასახავს მის უფრო ფართო სტრატეგიულ მიდგომას, რომლის მიხედვითაც დიდ სახელმწიფოთა მეტოქეობა თანამედროვე საერთაშორისო სისტემის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად მიიჩნევა. აღნიშნული მიდგომა ნათლად აისახება აშშ-ის ეროვნული თავდაცვის სტრატეგიის დოკუმენტებში. 2018 წლის ეროვნული თავდაცვის სტრატეგიის თანახმად, ჩინეთი განიხილება სახელმწიფოდ, რომელიც სხვადასხვა საშუალებით ცდილობს ძალაუფლების გაფართოებას საერთაშორისო სისტემაში (National Defence Strategy of the United States of America, 2018). ამასთანავე, 2026 წლის ეროვნული თავდაცვის სტრატეგია ხაზს უსვამს, რომ აშშ-ის მიზანი არ არის ჩინეთზე დომინირება ან მისი შეკუმშვა, არამედ ისეთი სამხედრო და სტრატეგიული გარემოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ძალთა ბალანსის შენარჩუნებას ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონში (National Defence Strategy of the United States of America, 2026).

აშშ-ის მიერ არჩეული პოლიტიკა შეესაბამება სტრუქტურული რეალიზმის თეორიულ მიდგომას, რომლის მიხედვითაც ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოთა მთავარი ამოცანა ძალის მოპოვება და მისი შენარჩუნებაა. შესაბამისად, სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებულ დავაში

იაპონიისადმი აშშ-ის მხარდაჭერა განპირობებულია მისი ინტერესით, შეინარჩუნოს ძალთა ბალანსი და შეაკავოს ჩინეთის გაძლიერება აღმოსავლეთ აზიის რეგიონში.

აღნიშნული კვლევა ხელს უწყობს აღმოსავლეთ აზიაში უსაფრთხოების დინამიკის უკეთ გააზრებას და ადასტურებს, რომ რეგიონში არსებული ტერიტორიული დავები ხშირად განისაზღვრება არა მხოლოდ ლოკალური ფაქტორებით, არამედ დიდი სახელმწიფოების სტრატეგიული ინტერესებითა და ძალთა ბალანსის შენარჩუნების ლოგიკით. შესაბამისად, სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების გარშემო არსებული დაპირისპირება შეიძლება განიხილებოდეს არა მხოლოდ როგორც ტერიტორიული დავა, არამედ როგორც დიდი სახელმწიფოების სტრატეგიული კონკურენციის გამოვლენა ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონში.

Mariam Bokhua
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
E-Mail: mari.bokhua@yahoo.com

The Role of the United States in the China-Japan Dispute over the Senkaku/Diaoyu Dao Islands

Abstract

This article examines the role of the United States in the dispute between China and Japan over the Senkaku/Diaoyu Dao Islands. The study aims to identify the factors underlying U.S. support for Japan in this territorial dispute. The analysis is based on the theory of structural realism and draws on the examination of the historical background of the dispute, the legal and political arguments advanced by the parties, as well as official U.S. documents and public statements by U.S. officials.

The study demonstrates that U.S. support for Japan is primarily driven by its strategic interest in maintaining the balance of power in East Asia and strengthening its regional position. In addition, the geostrategic location of the islands and their potential natural resources constitute important factors influencing the policies of the parties and the regional security environment.

The findings confirm that structural realism provides a convincing framework for explaining U.S. policy toward the Senkaku/Diaoyu Dao Islands dispute and demonstrate that preserving the balance of power in East Asia remains one of the principal priorities of U.S. foreign policy.

Keywords: Senkaku/Diaoyu Islands Dispute, United States Foreign Policy, China–Japan Relations, Structural Realism, Balance of Power in East Asia

გამოყენებული ლიტერატურა

ბოხუა, მ. (2018). *დიდ სახელმწიფოთა მეტოქეობა საერთაშორისო პოლიტიკაში: აშშ-ის როლი ჩინეთ-იაპონიას შორის არსებულ დაპირისპირებაში სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების გარშემო* (სამაგისტრო ნაშრომი). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Agreement between the United States of America and Japan. (1971). http://www.ryukyu-okinawa.net/contents/documents/archive/rev71.html

Banotes. (n.d.). *Neorealism in international relations: Structural power*. https://banotes.org/international-relations/neorealism-international-relations-structural-power/

Cairo Conference. (1943). *U.S. Department of State Archive*. https://2001-2009.state.gov/r/pa/ho/time/wwii/107184.htm

Chanlett-Avery, E., & Rinehart, I. E. (2016). *The U.S.-Japan alliance* (CRS Report No. RL33740). Congressional Research Service. https://www.congress.gov/crs_external_products/RL/PDF/RL33740/RL33740.22.pdf

Diaoyu Dao, an inherent territory of China [White paper]. (2012, September). *Diaoyu Dao, an Inherent Territory of China*. http://www.diaoyudao.org.cn/en/2015-01/25/content_34649357.htm

Dolven, B., Manyin, M. E., & Kan, S. A. (2014). *Maritime territorial disputes in East Asia: Issues for Congress* (CRS Report No. R42930). Congressional Research Service. https://www.congress.gov/crs-product/R42930

Drifte, R. (2014). The Japan-China confrontation over the Senkaku/Diaoyu Islands-Between "shelving" and "dispute escalation." *The Asia-Pacific Journal: Japan Focus, 12*(30), Article 4154.

Goldman, C. (2015, August 5). *Stanford scholar illuminates history of disputed China Sea islands*. Stanford Report. https://news.stanford.edu/2015/08/05/islands-chiang-diaries-080515/

How uninhabited islands soured China-Japan ties. (2014, November 10). *BBC News*. http://www.bbc.com/news/world-asia-pacific-11341139

Instrument of surrender. (1945). *National Archives Foundation*. https://www.archivesfoundation.org/documents/japanese-instrument-surrender-1945/

Ishii, L. J. (2013). *The U.S. imperative on the Senkaku/Diaoyu territorial dispute* (Master's thesis). U.S. Army War College, Carlisle Barracks, PA

Kosta, A. (2018). *The China-Japan conflict over the Senkaku/Diaoyu Islands*. Routledge.

Li, M. (2009). *China's participation in Asian multilateralism: Pragmatism prevails*. In R. Huisken (Ed.), *Rising China: Power and Reassurance* (pp. 147-164). ANU Press. https://doi.org/10.22459/RC.03.2009.11

Manyin, M. E. (2017). *The Senkakus (Diaoyu/Diaoyutai) dispute: U.S. treaty obligations* (CRS Report No. R42761). Congressional Research Service. https://www.congress.gov/crs_external_products/R/PDF/R42761/R42761.18.pdf

Manyin, M. E. (2021, March 1). *The Senkakus (Diaoyu/Diaoyutai) dispute: U.S. treaty obligations* (CRS Report No. R42761). Congressional Research Service. https://www.congress.gov/crs_external_products/R/PDF/R42761/R42761.23.pdf

Mearsheimer, J. J. (2001). *The tragedy of great power politics*. W. W. Norton & Company.

Ministry of Foreign Affairs of Japan. (2013). *The Senkaku Islands* (Ministry of Foreign Affairs report)

Ministry of Foreign Affairs of Japan. (2014, April 4). *Situation of the Senkaku Islands*. https://www.mofa.go.jp/a_o/c_m1/senkaku/page1we_000010.html

Ministry of Foreign Affairs of the People's Republic of China. (2012, October 26). *Vice Foreign Minister Zhang Zhijun gave briefing to Chinese and foreign journalists on the Diaoyu Dao issue (Transcript)*. https://www.mfa.gov.cn/eng/zy/jj/diaodao_665718/mn/202406/t20240606_11378082.html

Nikolopoulou, K. (2023, June 22). *What is purposive sampling? Definition & examples*. Scribbr. https://www.scribbr.com/methodology/purposive-sampling/

O'Rourke, R. (2018). *Maritime territorial and exclusive economic zone (EEZ) disputes involving China: Issues for Congress* (CRS Report No. R42784). Congressional Research Service. https://www.congress.gov/crs_external_products/R/PDF/R42784/R42784.86.pdf

Panda, A. (2014). *Obama: Senkakus covered under U.S.-Japan security treaty*. *The Diplomat*. https://thediplomat.com/2014/04/obama-senkakus-covered-under-us-japan-security-treaty/

Panda, A. (2017). *Mattis: Senkakus covered under U.S.-Japan security treaty*. *The Diplomat*. https://thediplomat.com/2017/02/mattis-senkakus-covered-under-us-japan-security-treaty/

Potsdam Declaration. (1945). *National Diet Library*. https://www.ndl.go.jp/constitution/e/etc/c06.html

Potsdam Declaration is still valid today. (2015, July 27). *China Daily*. http://www.chinadaily.com.cn/opinion/2015-07/27/content_21416358.htm

Przystup, J. J. (2009, April). *The United States and the Asia-Pacific region: National interests and strategic imperatives* (Strategic Forum No. 246). Institute for National Strategic Studies, National Defense University.

Roller, M. R. (2023). *Qualitative content analysis: 6 articles on the definition & quality design considerations*. Research Design Review

Roy-Chaudhury, S. (2016, August 1). *The Senkaku Islands dispute*. International Policy Digest. https://intpolicydigest.org/2016/08/01/senkaku-islands-dispute/

Sana, A. (2012). *United States interests in Asia-Pacific: Implications for Pakistan*. Institute of Strategic Studies, Research and Analysis (ISSRA).

Security treaty between the United States and Japan. (1951). *The Avalon Project*. https://avalon.law.yale.edu/20th_century/japan001.asp

Senkaku Islands: Location, area, and other geographical data. (2015, February 17). The Sasakawa Peace Foundation. https://www.spf.org/islandstudies/info_library/senkaku-islands/02-geography/02_geo001.html

Senkel, C. (2022). *China and Japan: Partners, rivals, and their clash over the Senkaku/Diaoyu Islands* (Master's thesis). Erasmus University Rotterdam. https://thesis.eur.nl/pub/65240/Senkel-Christian.pdf

Shaw, H. (1999). *The Diaoyutai/Senkaku dispute: Its history and an analysis of the ownership claims of the P.R.C., R.O.C., and Japan*. Institute of Asian Research, University of Maryland.

Shulong, C. (2008). *A mechanism to stabilize U.S.-China-Japan trilateral relations in Asia*. Center for Northeast Asian Policy Studies, Brookings Institution.

Smith, S. A. (2012). Japan and the East China Sea dispute. *Orbis, 56*(3), 370-390. https://doi.org/10.1016/j.orbis.2012.05.006

The White House. (2017). *Joint statement from President Donald J. Trump and Prime Minister Shinzo Abe*. https://trumpwhitehouse.archives.gov/briefings-statements/joint-statement-president-donald-j-trump-prime-minister-shinzo-abe/

The White House. (2025, February 7). *United States–Japan joint leaders' statement*. https://www.whitehouse.gov/briefings-statements/2025/02/united-states-japan-joint-leaders-statement/

Togo, K. (2014). Japan-China-US relations and the Senkaku/Diaoyu Islands dispute: Perspectives from international relations theory. *Asian Perspective, 38*(2), 241–261.

Treaty of Shimonoseki. (1895). *USC U.S.-China Institute*. https://reparations.qub.ac.uk/assets/uploads/Treaty-of-Shimonoseki.pdf

Treaty of Shimonoseki. (n.d.). *Diaoyu Dao: The Inherent Territory of China*. http://www.diaoyudao.org.cn/en/2015-01/25/content_34649429.htm

Treaty of peace with Japan. (1951). https://www.documentcloud.org/documents/1338718-san-francisco-peace-treaty-1951.html

U.S. Department of Defense. (2018). *Summary of the 2018 National Defense Strategy of the United States of America*. https://media.defense.gov/2020/May/18/2002302061/-1/-1/1/2018-NATIONAL-DEFENSE-STRATEGY-SUMMARY.PDF

U.S. Department of Defense. (2026). *2026 National defense strategy*. https://media.defense.gov/2026/Jan/23/2003864773/-1/-1/0/2026-NATIONAL-DEFENSE-STRATEGY.PDF

U.S. Mission Japan. (2023, January 11). *Joint statement of the Security Consultative Committee (2+2).* https://jp.usembassy.gov/joint-statement-security-consultative-committee-2plus2/

Waltz, K. N. (1979). *Theory of international politics*. Addison-Wesley.